

სემუელ ბეკეტი

პირველი სიყვარული

ფრანგულიდან თარგმნა
ირინა ლოლობერიძემ

პირველი გამოცემა:

წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით.

ყველა უფლება დაცულია

- © Les éditions de Minuit, 1957
- © გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001
- © თარგმანი ირინა ლოლობერიძე, 200

მეორე გამოცემა:

- © გამომცემლობა „დიო“, 2008;
- მსოფლიო ლიტერატურა, III ტომი „რჩეული მოთხრობები“

მესამე გამოცემა:

- © Les éditions de Minuit, 1970
- © გამომცემლობა „ინტელექტი“, 2013
- © თარგმანი ირინა ლოლობერიძე

„ხშირად მეკითხებიან, რის თქმა სურთ ჩემს პერსონაჟებს.
მე მხოლოდ სული შთაგებერე მათ და ადამიანთა სამყაროში გზა
დავულოცე. ახლა ისინი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ.
თუ სადმე გადაეყრებით, კითხვაზე პასუხი, მე კი არა, მათ უნდა მოთხოვოთ“
სემუელ ბეკეტი

„მხოლოდ ფრანგულ ენას შეუძლია გამოხატოს ის, რისი თქმაც მსურდა“
სემუელ ბეკეტი

ვცდები, თუ მართალი ვარ არ ვიცი, მაგრამ ჩემს ქორწინებას დროის თვალსაზრისით მამაჩემის გარდაცვალებას ვუკავშირებ. ამ ორი ამბის გაერთიანება, ალბათ, სხვაგვარად და სხვა სიბრტყეშიც შეიძლება, მაგრამ დღეს უკვე ძალიან მიჭირს გავიხსენო ის რაც, ვფიქრობ, ყოველთვის ვიცოდი.

ამას წინათ, აი ეს კი კარგად მახსოვს, მამაჩემის საფლავი მოვინახულე, და მისი დაკრძალვის თარიღი ამოვიწერე, მარტო დაკრძალვის, მაშინ მამაჩემის დაბადება არ მაინტერესებდა. დილით წავედი და საღამოს დავბრუნდი. საფლავზე ჭიქაც წავუქციე. ერთი-ორი დღის მერე ვერა და ვერ გავიხსენე რამდენი წლის იყო მამაჩემი, როცა გარდაიცვალა და მისი დაბადების დღის დასაზუსტებლად ხელახლა მივაკითხე სასაფლაოს. ორივე ციფრი ქალაქის ნაგლეჯზე ამოვიწერე და მას მერე სულ თან ვატარებ. ასე რომ ადვილად დავამტკიცებ, ქორწილის დღეს ოცდახუთიოდე წლისა ვიყავი. საკუთარი, ვიმეორებ, საკუთარი დაბადების დღე არასდროს დამვიწყებია, არც ჩამიწერია, მაგრამ სულ მახსოვს, განსაკუთრებით წელიწადი, ეს ოთხი, გამორჩეული ციფრი ისე ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რომ სიკვდილიც კი ვერ ამოშლის. დაბადების დღეც ასეა, თავს ძალა თუ დავატანე, მახსენდება და ჩემებურად ვზეიმობ ხოლმე. ძალიან, ძალიან ხშირად მახსენდება, თუმცა ყოველთვის არ ვზეიმობ.

პირადად მე, სასაფლაოებს არაფერს ვერჩი. როცა იძულებული ვარ გარეთ გავიდე, სასაფლაოზე უფრო დიდი სიამოვნებით მივდივარ, ვიდრე სხვაგან. გვამების სუნი, რომელსაც ბალახისა და ნეშომპალას სურნელებაში იოლად ვარჩევ, არ მაღიზიანებს. ცოტა ზედმეტად მოტკბო და გამაბრუებელია, მაგრამ ცოცხალთა სუნს, მათი ილღობის, ფეხების, უკანალის, ზუნზლიან ჩუჩასა და ფსუტე კვერცხების სუნს მაინც მირჩევნია. და ვინაიდან ვიცი, რომ სასაფლაოს სურნელში მამაჩემის ნეშტსაც შეაქვს თავისი მოკრძალებული წვლილი, ლამისაა ვიტყვო. გინდ იბანაოს და გინდ სუნამო ისხას, ადამიანი მაინც ყარს. ჰოდა, სასეირნო ადგილად, როცა ეს აუცილებელია, მე სასაფლაოები დამიტოვებთ, თქვენ კი თქვენს პარკებსა და სოფლებში მიბრძანდით. ჩემს სანდვიჩსა და ბანანს საფლავის ქვაზე ჩამომჯდარი უფრო გემრიელად მივირთმევ, მოფსმა თუ მომინდა და, უნდა ითქვას, ხშირად მინდება ხოლმე, ადგილის მოძებნაც არ მიჭირს. ხშირად ზურგზე ხელებდაწყობილი დავეხეტები ქვების, კედლების, დაფების, ქანდაკებების ირგვლივ და წარწერების კითხვით ვირთობ თავს. არასოდეს მომბეზრებია. ერთი-ორ ისეთ მხიარულ წარწერას წავაწყდი, რომ სიცილით დაოსებული რომელიღაც ჯვარს, სტელას თუ ანგელოზს გადავესვენე. საკუთარი ეპიტაფია რახანია მოვიგონე. ეხლაც მომწონს, ძალიან მომწონს. სხვა ჩანაწერები მზიზღდებოდა, სანამ ფურცელს მელანი შეაშრებოდა, ან სანამ დავწერდი, ჩემი ეპიტაფია კი დღემდე მომწონს. გრამატიკული სრულყოფის ნიმუშია. სამწუხაროდ, არა მგონია შემქნელის გარდა ვინმემ

წიკითხოს, თუ რა თქმა უნდა ამ საქმეში სახელმწიფო არ ჩაერევა. თუმცა, ჯერ უნდა მიპოვონ, მერე ამომთხარონ მიწიდან, სახელმწიფო კი, ვშიშობ, ჩემი ძებნით თავს არ შეიწუხებს, აბა რაში ენადვლება ცოცხალი ვიქნები თუ მკვდარი; ამიტომაც, ჩემი ეპიტაფია სასწრაფოდ უნდა ჩავწერო, თორემ დამავიწყდება.

*აქ განისვენებს ის, ვინც იმდენჯერ გაექცა სიკვდილს,
რომ საბოლოოდ მხოლოდ ეხლა განთავისუფლდა.*

მეორე და უკანასკნელ სტროფში, მგონი ერთი მარცვალი ზედმეტია, მაგრამ ჯანდაბას, რა მნიშვნელობა აქვს, როცა მოვკვდები, ამაზე მეტსაც მაპატიებენ. მერე, თუ ბედმა გამიღიმა, სასაფლაოზე დაკრძალვასაც შევესწრები. ვუყურებ ძაძებით მოსილ ცოცხლებს, ან იმ ქვრივ ქალბატონებს, რომლებსაც სამარეში ჩახტომა უნდათ. მათ თავგანწირვას თითქმის ყოველთვის მტვრის ჩამობერტყვის მშვენიერი სურათი მოსდევს, თუმცა, სამარეზე ნაკლებ მტვრიანი არაფერი არსად მინახავს, მიწა ხომ საკმაოდ ნოყიერია, მიცვალეზულიც არ არის ჯერ მტვრად ქცეული, თუ, რა თქმა უნდა, დანახშირებული არ გარდაიცვალა. მტვრის პატარა კომედია მაინც ძალიან მომწონს. მამაჩემის სასაფლაო გულზე დიდად არ მეხატებოდა. ჯერ ერთი ძალიან შორის იყო, სადღაც შუასოფელში, რაღაც ბორცვის ფერდობზე და თანაც პატარა იყო, თითქმის ჯუჯა. როგორ ვთქვა და ზედმეტად დაკომპლექტებულიც მეჩვენებოდა, კიდევ ერთი-ორი ქვრივი და თავისუფალი ადგილი აღარ დარჩებოდა. უპირატესობას ყოველთვის ოლსდორფის სასაფლაოს ვანიჭებდი, განსაკუთრებით ლინის მხრიდან, მოძრავი მიწით და ოთხას ჰექტარზე მიჯრით ჩაწყობილი გვამებით. ისე, არც გამიგია იქ ვინმე წარჩინებული დაესაფლავებინოთ. მომთვინიერებელ ჰეიჯენბეკის გარდა. მის აკლდამაზე, თუ არ ვცდები, ლომია ამოტვიფრული. სიკვდილს მართლაც ლომის სახე უნდა მიეღო ჰეიჯენბეკისთვის. ქვრივ-ობლებით გამეძგილი ავტობუსებიც მიდი-მოდიან... ჭალები, მღვიმეები, გედებით სავსე პატარ-პატარა წყალსაცავები დამწუხრებულ ჭირისუფლებს ანუგეშებენ. დეკემბრის თვე იდგა, მციოდა, როგორც არასდროს. თევზის წვნიანი ვერ და ვერ მოვიწეღე, სიკვდილის მეშინოდა, გულისრევამ ამიტანა და უცებ შემშურდა მკვდრების.

ნაკლებ სევდიანი ამბავი გავიხსენოთ. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ იძულებული გავხდი სახლი მიმეტოვებინა. მის გარდა არავის უნდოდა ჩემთან ერთად ცხოვრება. უცნაური კაცი იყო მამაჩემი. ერთ დღეს მათ ისიც კი უთხრა, თავი დაანებეთ, ხელს არავის უშლისო. რა იცოდა, რომ ვუსმენდი. ეს აზრი ალბათ არა ერთხელ გამოუთქვამს, თუმცა სხვა დროს არ გამიგია. მისი ანდერძი არ მაჩვენეს, უბრალოდ მითხრეს ესა და ეს თანხა დაგიტოვაო. მაშინ მეგონა და დღესაც მჯერა, რომ მამაჩემმა მათ ჩემი სახლში დატოვება და, როგორც ყოველთვის, საჭმლით უზრუნველყოფა უანდერძა. ვფქირობ იმ ოთახსაც მიტოვებდა, რომელშიც მისი სიცოცხლის

დროს ვცხოვრობდი. ეს, ალბათ, სწორედ ის პირობა იყო, რომელსაც მან სხვა დანარჩენი დაუკავშირა. მოწონდა და მშვიდად იყო სახლში რომ ვეგულეობდი, თორემ ჩემს გაგდებას ასე არ გაუძალიანდებოდა. იქნებ ვეცოდებოდი კიდეც, მაგრამ არა მგონია. მთელი სახლი უნდა დაეტოვებინა ჩემთვის, მეც დავეწყნარდებოდი და სხვაც, ვეტყოდი მათ -- დარჩით! თქვენ ხომ თქვენს სახლში ხართ! უზარმაზარი სახლი იყო. დიახ, მამაჩემს საფლავიდანაც ჩემი დაცვა ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მწარედ გააცურეს, ფულს რაც შეეხება, უნდა ვაღიარო, რომ მაშინვე, დაკრძალვის მეორე დღესვე გადმომცეს. ფინანსურად, ალბათ, ასე აწყობდათ. ვუთხარი, ეს ფული დაიტოვეთ და ჩემს ოთახში ცხოვრების ნება მომეცით, როგორც ადრე, მამა რომ ცოცხალი იყო-თქო. მათ სასიამოვნოდ ისიც კი დავუმატე - უფალმა აკურთხოს მისი სულიო. არ მოისურვეს. შევთავაზე, რომ ყოველდღე, რამდენიმე საათი, მათ განკარგულებაში ვიქნებოდი, წვრილმან სამუშაოს შევასრულებდი, რათა სახლი თავზე არ დამხობოდათ. შემთხვევითი სამუშაოს აღება, დრო და დრო ჩირთი-ფირთობა ჯერ კიდეც მეხერხება და მომწონს კიდეც, ვერ გამიგია, რატომ. სათბურების მოვლა შევთავაზე. ყოველ დღე სამ-ოთხ საათს სიამოვნებით გავატარებდი სითბოში და პამიდვრებს, მიხაკებს, სუმბულსა და სხვა ნათესებს მივხედავდი ჩვენს სახლში, მხოლოდ მამაჩემსა და მე გაგვეგებოდა რამე პამიდვრების მოყვანაში. არც ეს მოისურვეს. ერთ დღეს, ფეხისსალაგიდან რომ გამოვედი, ჩემი ოთახის კარი ჩარაზული დამხვდა, ნივთები კი იქვე კართან მიყრილი. ვერც წარმოიდგენთ იმ დროს რა შეკრულობა მტანჯავდა. ვფიქრობ, შიში და სევდა მკრავდა. ნეტავ, მართლა თუ ვიყავი შეკრული? არა მგონია. მოვიფიქრე! დავეწყნარდი! ალბათ მაინც ვიყავი, აბა რით აიხსნებოდა საპირფარეშოში ასე ხანგრძლივი და აუტანელი ჯდომა. არც იქ და არც სხვაგან აღარ ვკითხულობდი, აღარ ვოცნებობდი, აღარ ვფიქრობდი, უბრალოდ ვაშტერდებოდი ჩემს თვალწინ ლურსმანზე დაკიდებულ ფერად კალენდარს, სადაც ცხვრებით გარშემორტყმული ახალგაზრდა წვეროსანი იყო გამოსახული. ნამდვილად იესო იქნებოდა, ორივე ხელით დუნდულებს ვეჭიდებოდი და თითქოს ნიჩბიანი ნავი მიმყავდა, ისე რიტმულად, მოზომილად ვიჭინებოდი: ერთი! უჰ! ორი! უჰ! ერთი სული მქონდა როდის დავბრუნდებოდი ჩემს ოთახში და წამოვწვებოდი. შეკრულობა ქვია ამას, აბა ფადარათში ხომ არ მემლება? ყველაფერი ერთიანად ამერია თავში - სასაფლაო, ქორწინება, განავლის ნაირსახეობანი. ძალიან ცოტა ნივთები მქონდა, იატაკზე დაეყარათ კარებთან, რაღაც ბნელ ღრმულში, რომელიც დერეფანსა და ჩემს ოთახს ყოფდა. სწორედ ამ პატარა, სამივე მხრიდან ამოხუთულ სივრცეში მომიწია ტანსაცმლის გამოცვლა, ხალათის, ღამის პერანგის გახდა და სამოგზაუროდ გამოწყობა-წინდები, ფეხსაცმელები, შარვალი, პერანგი, პიჯაკი, პალტო და ქუდი... იმედია არაფერი დამავიწყდა. ვიდრე სახლიდან გავიდოდი, სხვა კარებებს მივადექი, საკეტები მოვმინჯე, ვეჯაჯგურე, მაგრამ ვერც ერთი ვერ გავაღე. ერთი ოთახი მაინც რომ მენახა

ღია, ჩავიკეტებოდი და მომწამვლელი გაზიც რომ შემოეშვათ, გარეთ არ გამოვიდოდი. ვგრძნობდი, რომ სახლი, როგორც ყოველთვის, ხალხით იყო გაჭედული, მაგრამ არავინ ჩანდა. არადა, ვიცოდი რომ ყველა თავის ოთახში იყო გამოკეტილი, კარზე ყურმილებული და სმენადქცეული. გარეთ გასასვლელი კარის ხმაურზე - შევცდი, არ უნდა დამეკეტა! - ყველა ფანჯარასთან მიიჭრა, მერე ოდნავ უკან დაიხიეს და ფარდებს ამოეფარნენ - არ დაგვინახოს, არ დავიღუპოთ, კარები ფართოდ იღება, გარეთ გამოდიან - კაცები, ქალები, ბავშვები, ჟრიამული ისმის ოხვრა, სიცილი, ხელები... და ხელში გასაღებები, საყოველთაო სიმშვიდე. შვება, აზრების გაცვლა-გამოცვლა, თუა ასეა მაშ ისეა, თუ ისეა მაშ ასეა, საზეიმო განწყობილება, ყველა მიხვდა, ყველამ გაიგო, აბა, სუფრასთან, სუფრასთან! მის ოთახს მერე მივხედოთ... ეს ყველაფერი რა თქმა უნდა ჩემმა წარმოსახვამ მიკარნახა, სახლიდან უკვე გამოსული ვიყავი. შესაძლოა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. აბა რა მნიშვნელობა აქვს როგორ, მოსახდენი, ხომ მაინც მოხდა! ტუჩები რომელიც მკოცნიდა, გულები, რომელსც ვუყვარდი..., სხვა რამეში მეშლება, თუ სწორედ გულით გვიყვარს? ხელები, რომელიც ჩემს ხელებს ეთამაშებოდა და გონება, რომელმაც ლამის მონად მაქცია. რა უცნაურები ვართ ადამიანები! საბრალო მამა, რა მაგრად გაუტყდებოდა იმ დღეს რომ მოსწრებოდა და ჩემი... ჩვენი დანახვა შეძლებოდა, მე იმის თქმა მინდა, რომ ჩემს გამო გაუტყდებოდა, რა თქმა უნდა იმ პირობით, თუ თავისი უხორცობით დაბრძენებული იგი უფრო შორს ჰვრეტდა, ვიდრე მისი შვილი, რომლის ნეშთი ჯერ საბოლოოდ არ იყო დამძორებული.

უფრო მხიარულ ამბავზე გადავიდეთ. ქალს, რომელიც მე მოგვიანებით გავიცანი, ლულუ ერქვა. ყოველ შემთხვევაში თვითონ ასე გამაცნო თავი და ჩემი მოტყუება აბა რაში უნდა დასჭირვებოდა, თუმცა, არავინ იცის. ფრანგი არ იყო, ამიტომ „ლ“-ს ვერ არბილებდა, არც მე ვიყავი ფრანგი და ამიტომ მეც ლულუს ვამბობდი. ერთნაირად წარმოვთქვამდით - ლულუ, მაგარი „ლ“-თი რა თქმა უნდა. გვარიც მითხრა, მაგრამ დამავიწყდა. აუცილებლად უნდა ჩამეწერა ქალაქის ნაგლეჯზე, არ მიყვარს საკუთარი სახელების დავიწყება. არხის პირას, სკამთან გავიცანი, უფრო ზუსტად ერთ-ერთი არხის მახლობლად მდგარ სკამთან. ისე, ჩვენს ქალაქში ორი არხია, მაგრამ მათი გარჩევა ყოველთვის მიძნელებოდა. კარგად განლაგებული სკამი გახლდათ, მიწის ხროვასა და მიწადქცეულ ნაგავს იყო მიყუდებული, ისე რომ ზურგი კარგად მქონდა დაცული. ნაწილობრივ გვერდებიც, რადგან ორივე მხრიდან სკამს საიმედოდ ფარავდა ორი ჭარმაგი და, ვფიქრობ, უკვე გამხმარი ხე. ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ, ალბათ, სწორედ ამ აბიზინებული ხეების გამო ჩადგა იქ სკამი. რამდენიმე მეტრში არხი მიედინებოდა, თუ შეიძლება, რომ არხი სადმე მიედინებოდეს. მოკლედ, ამ მხრიდანაც დაცული ვიყავი, თავზე მოულოდნელად ვერავინ წამადგებოდა, თუმცა ის მაინც მოულოდნელად მოვიდა. სკამზე ვიწევი, თბილოდა, ჩემს ზემოთ, ერთმანეთში გადახლართული, ორივე ხის

მოშიშვლებული ტოტებისა და მეჩხერი ღრუბლების მიღმა ვარსკვლავებით მოჭედული ცის პატარა მონაკვეთის მოძრაობას ვაკვირდებოდი. ცოტა მიიწიეთ, სთქვა მან. წასვლა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე, დაღლილი ვიყავი და რაც მთავარია, არ ვიცოდი სად წავსულიყავი. ფეხები ოდნავ მოვხარე და ის დაჯდა. იმ საღამოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარა, ისე წავიდა, რომ სიტყვაც არ დასცდენია, თუმცა ერთხანს თავისთვის მღეროდა, კიდეც კარგი უსიტყვოდ, რაღაც ძველ აქაურ სიმღერებს, უცნაურად მღეროდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტით, ერთი სიმღერიდან მეორეზე გადადიოდა, მერე ისევ შეწყვეტილ სიმღერას უბრუნდებოდა, წამოწყებულს კი აღარ ამთავრებდა, სმენა ცუდი ჰქონდა, ხმა - სასიამოვნო. მე ვგრძნობდი სულს, რომელსაც ყველაფერი სწრაფად ბეზრდება და არასდროს არაფერს ამთავრებს, რომელიც სხვებთან შედარებით ნაკლებ ტვინისწამლებია. სკამზე ჯდომაც მალე მობეზრდა, მე კი ერთადერთი მხერა მაკმარა. სინამდვილეში, ძალიან ტორღიალა ქალი აღმოჩნდა. მეორე, მესამე დღესაც მოვიდა და ყველაფერი ჩვეულებრივად და მარტივად განვითარდა. რამდენიმე სიტყვით მივმართეთ ერთმანეთს. მერე სულ წვიმდა, დამშვიდებულმა გავიფიქრე, რომ აღარ მოვიდოდა. თურმე ვცდებოდი. პირდაპირ ვკითხე ასე ყოველ საღამოს თუ აპირებდა ჩემს შეწუხებას და განა გაწუხებთო, მკითხა. ალბათ, შემათვალისწინებდა კიდეც. საინტერესოს, რა თქმა უნდა, ვერაფერს დაინახავდა. ორ ქუთუთოს, ცხვირის ნაწილს და ოდნავ შუბლს, ბუნდოვნად დამინახავდა... ბინდის გამო. მომეჩვენა, რომ თავს ერთად კარგად ვგრძნობდით, მითხრა მან, მაწუხებთ, ვუპასუხე მე, თქვენს გამო სკამზე ვეღარ ვწვივები. პალტოს საყელოში ცხვირჩაყოფილი ველაპარაკებოდი, მაინც ყველაფერი გაიგო. ნუთუ წამოწოლა ასე მოგიწინებდა? მკითხა მან. ადამიანებთან გამოლაპარაკება დიდი შეცდომაა! ფეხები მუხლებზე დამაწყეთ, შემომთავაზა მან. ხვეწნა არ დამჭირვებია. გამხმარი კანჭებით მის ჩამრგვალებულ ბარძაყებს ვგრძნობდი. წვივებზე მომისვა ხელი. ერთი ლაზათიანი პანდური ხომ არ მივაკერო უკანალში, გავიფიქრე მე. წამოწოლას უხსენებ, ის კი გაშხლართულ სხეულს ხედავს. ერთადერთი, რაც იმ მომენტში მე, უქვეშევრდომო მეფეს, მალეღებდა ცერებრალური ამოტრიალება გახლდათ, რომელმაც ჩემი „მე“, მომზამავი წვრილმანების ნაშთი, ანუ „არა-მე“ და ის, რასაც სიზარმაცით სამყაროს ვუწოდებთ, ერთიანად მოადუნა და ჩემი ჩონჩხი რაღაც შორეულის ყალბ ანარეკლად აქცია. მაგრამ ოცდახუთი წლის თანამედროვე ადამიანს ხანდახან კიდეც უდგება, ეს ყველას ხვედრია და ვერც მე გავექეცი ამ საქმეს, თუ იმას, რაც მე მომივიდა, ადგომა ერქვა. რაღა თქმა უნდა ის ყველაფერს მიხვდა, ქალები ათ კილომეტრზე გრძნობენ ჰაერში აჭრილ ფალოსს და თავის თავს ეკითხებიან, როგორ მოახერხა იმ „რაღაცამ“ ჩემი დანახვაო. ამ პირობებში უკვე შენს თავს აღარ ეკუთვნის, არა და რა აუტანელია როცა „შენ“ აღარ ხარ „შენ“ და, რაც გინდათ ის თქვით, ეს გაცილებით უფრო მნელია, ვიდრე იყო. „შენ“, ანუ ის რაც ხარ; როცა ხარ „შენ“, იცი მაინც, რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ნაკლებად „შენ“, იყო; ხოლო როცა აღარ ხარ, არ იცი

ვინა ხარ და ვინაიდან ნებისმიერი ხარ, ვერც ვერაფერს მიჩქმალავ და ვერც შეალამაზებ. ის, რასაც სხვები სიყვარულს უწოდებენ, სინამდვილეში უცხო ქვეყნიდან დრო და დრო გამოგზავნილი ღია ბარათებით გაცხადებული გადასახლებაა, დღეს ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ... როცა ქალმა გაათავა და ჩემი „მე“ ქვეცნობიერის მეშვეობით უკვე მოთვინიერებული დამიბრუნდა, მარტო აღმოვჩნდი. ხანდახან მგონია, რომ ყველაფერი მოვიგონე, რომ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად, უკვე დავიწყებული სქემის მიხედვით განვითარდა. მიუხედავად ამისა მისი სახე მაინც სკამთან არის დაკავშირებული, არა ღამისეულ, არამედ ბინდით შეფერილ სკამთან. სკამი თუ მახსენდება, მასაც ვიხსენებ. სკამზე თუ ვყვები, ჩემდაუნებურად მასზე ვიწყებ ლაპარაკს. ვიცი, რომ ამით ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ არც ვაპირებ არაფრის დამტკიცებას. რაც შეეხება იმ სკამს დღის განმავლობაში... სათქმელი არაფერი მაქვს, რადგან დღისით იქ არც ვყოფილვარ, დილაადრიან ვეცლებოდი იქაურობას და ნაშუადღევს ვბრუნდებოდი ხოლმე, დღისით საჭმლის საშოვნად დავდიოდი და უფასო თავშესაფარს დავეძებდი. სრული უფლება გაქვთ მკითხოთ, რა ვუყავი ფულს, რომელიც მამაჩემმა დამიტოვა, არც არაფერი მიქნია, ჯიბით დავატარებდი. ვიცოდი, რომ ყოველთვის ახალგაზრდა არ ვიქნებოდი. ისიც ვიცოდი, რომ ზაფხული და შემოდგომა უსასრულოდ არ გაგრძელდებოდა, ამას ჩემი ბურჟუაზისეული სულისკვეთება მკარნახობდა. ბოლოს და ბოლოს ვუთხარი, რომ თავი მომაბეზრა. ძალიან მიშლიდა ხელს, მაშინაც კი, როცა წასული იყო. სხვათაშორის ახლაც მაწუხებს, მაგრამ ზუსტად ისე, როგორც სხვა დანარჩენი რამ. საერთოდ, რას ნიშნავს ხელის შეშლა, შეწუხება, უნდა შემიშალოს ვინმემ ხელი, უნდა შევწუხდე კიდეც. ისე, შემაწუხა უკვე არაფრად მიღირს, სისტემა შევცვალე და მომგებიანი ნომრების ამოცნობა ვისწავლე, ხან მეცხრეა, ხან მეათე, ისიც ვიცი, რომ მალე ყველაფერს ბოლო მოეღება - შეწუხებას, გარიგებ-მორიგებას, ცოტაც და აღარ ვილაპარაკებ არც ამასზე, არც სხვაზე, არც ქაქზე, არც ზეცაზე. მაშ, აღარ გინდათ, რომ მოვიდე? მკითხა მან. საკვირველია პირდაპირ, როგორ მოსწონს ადამიანს იმის გამეორება, რაც ეს ესაა უთხრეს, თითქოს ყურებს არ უჯერებს, ან შიში ალაპარაკებსო. იმ დროს ქალებს ცუდად ვიცნობდი, უკეთესად, მართალია, არც ახლა ვიცნობ. არც კაცებს, სხვათა შორის, და არც ცხოველებს. ყველაფერზე უკეთ ჩემს სატკივარს ვიცნობ. ყოველდღე ყველა ტკივილს ვიხსენებ, ჩამოთვლას მალე ვამთავრებ, რადგან ფიქრი სწრაფია, თუმცა ფიქრს ყველა ტკივილი არ მოაქვს, დიახ არის მომენტები, განსაკუთრებით ნაშუადღევს, როცა თავს რეინჰოლდის¹ თანახმად, სინკრეტულად ვგრძნობ. მიყვარს წონასწორობა! ისე, ჩემს სატკივარსაც ცუდად ვიცნობ.

¹ კარლ-ლეონარტ რეინჰოლდი (1758-1823). გერმანელი ფილოსოფოსი, კანტის კრიტიციზმის ინტერპრეტატორი. შექმნა თავისი ფილოსოფიური სისტემა, რომელსაც ელემენტარული ფილოსოფია უწოდა (მთ. შენ)

ალბათ იმიტომ, რომ მე თვითონ ვარ ტკივილი. ეს უკვე გოთვერნობაა! ჰო და, ვეყრები ტკივილს; გაკვირვებამდე, აღტაცებამდე მივდივარ და სხვა პლანეტას ვაფარებ თავს. იშვიათად, მაგრამ მშველის. მაგარი რამეა სიცოცხლე! არა და როგორ გაადვილდებოდა ყველაფერი, მხოლოდ ტკივილად რომ იქცეს ადამიანი! ერთ დიდი ტკივილგანცდად! ყალყზე, არა ჯიბრზე დგომად გადაიქცეოდა ყველაფერი და...სიმუხთლედ. ჩემს ყველა ტკივილს ერთხელ მაინც ჩამოგიტვლით, თუ გამახსენდა... თუ შევძელი, ყველა ტკივილს წვრილად მოგიყვებით და კარგად რომ გამიგოთ, ერთმანეთისაგანაც გამოვიყოფ-განვასხვავებ. ჯერ აზროვნების, შეგნებ-გაგების, გულის ანუ ემოციურ ტკივილებს დაგისახელებთ, სულის ტკივილსაც არ დავივიწყებ, ძალიან ლამაზია სულის ტკივილი! მერე სხეულის ტკივილ-დარდებსაც მივხედავ, ჯერ შინაგანს და მიჩქმალულს, მერე გარეგანს. თმებით დავიწყებ და თანმიმდევრულად, აუჩქარებლად ჩავალ ფეხებში - კოჭრების, კრუნჩხვების, მუწუკების, შეზრდილი ფრჩხილების, დაჭმულ-დამსკდარი ტერფების და სხვა სიმყრალეთა საბუდარში. თუ მოთმინებით მომისმენთ სხვა რამესაც მოგიყვებით; ერთი თეორიის მიხედვით, ავტორი სხვათა შორის დამავიწყდა, არის მომენტები, როცა ვერაფერსაც ვერ გრძნობ, თუ დაკაფებულები, გალემილი ან ექსტაზში არა ხარ გადავარდნილი. მოკლედ, მან მოისურვა დაზუსტება იმისა, თუ რას ვგულისხმობდი ამ ხანდახან მოსვლით, აი, რა საფრთხეში ვიგდებთ თავს, ენას კბილი, თუ არ დავაჭირეთ. კვირაში ერთხელ? ვუთხარი, უფრო იშვიათად მოსულიყო, ძალიან, ძალიან იშვიათად მოსულიყო. სხვათა შორის მეორე დღესვე მივატოვე ის სკამი, ქალი არაფერ შუაში იყო, უბრალოდ ნაადრევად ცივი ამინდი დადგა და სკამის განლაგება ჩემს მწირ მოთხოვნილებებს აღარ აკმაყოფილებდა, სხვა მიზეზებიც მქონდა, მაგრამ თქვენისთანა ჩერჩეტებთან არ ღირს ამაზე ლაპარაკი, ერთი სიტყვით, თავი ერთ მიტოვებულ ბოსელს შევაფარე, რომელიც საშოვარზე ხეტიალის დროს აღმოვაჩინე. ბოსელი მინდვრის ბოლოს იყო აშენებული, მინდვრის ბალახზე მეტი ჭინჭარი და ჭინჭარზე მეტი ტალახი გამოჰქონდა ზედაპირზე, თუმცა წიაღი, ვფიქრობ, მაინც განსაკუთრებულ სიმდიდრეს ინახავდა. ბოსელი სავსე იყო გადამხმარი და ფუყე ნეხვით, რომელიც, როგორც კი თითს ვატაკებდი, კვნესით იჩუტებოდა. სწორედ ამ ბინძურ სოფელში ჩემს ცხოვრებაში პირველად და, რა სიამოვნებით ვიტყვოდი, უკანასკნელად, წამალი რომ საკმარისად მქონდეს გაკეთებული, შევებრძოლე გრძნობას, რომელიც ჩემს გაყინულ გონებაში ნელ-ნელა სიყვარულის საშინელ სახელს იძენდა. ჩვენს ქალაქში... მის განსაკუთრებულ პეწს თუ არ გავითვალსწინებთ, რაც, სხვათაშორის, იმაში მდგომარეობდა, რომ პრეზერვატივების ამკარა დეფიციტის მიუხედავად იგი ნაკლებად იყო დასახლებული... ჰოდა, ჩვენს ქალაქში, ისტორიის ექსკრემენტების გარდა, ყველაფერი მივიწყებულ-მიტოვებული გახლდათ. ამ უკანასკნელს დღესაც გაცხარებით აგროვენ და ზარ-ზეიმით აქეთ-იქით დაატარებენ. ჩვენს

მოკუნტულ, აქოშინებულ სახეახურებულ პატრიოტებს შევხვდებით ყველგან, სადაც დრომ თავისი ამაზრზენი სკინტლი დატოვა. უსახლკაროთა სამოთხე. აი, რით აიხსნება ჩემი ბედნიერება, ყველაფერი თავის წახრისკენ, შეძრომისკენ გვიბიძგებს. ამ დაკვირვებებში საერთოს ვერაფერს ვხედავ, თუმცა ერთ-ორი მაკავშირებელი ძაფი მაინც მოიძებნება, მე, ყოველ შემთხვევაში, უეჭველად მოვძებნი. მაგრამ რომელს? დიახ, მე ის მიყვარდა, სწორედ ასე ვუწოდებდი და ახლაც, სამწუხაროდ, იგივეს ვუწოდებ იმას, რასაც მაშინ ვაკეთებდი. ინფორმაცია ამის თაობაზე არ გამაჩნდა, რადგან ადრე არასდროს მყვარებია. ისე, ლაპარაკისათვის ხშირად მომიკრავს ყური სახლში რა თქმა უნდა, სკოლაში, ბორდელში, ეკლესიაში, რომანებიც მრავლად მაქვს წაკითხული; მასწავლებელი მაკითხებდა პროზად, ლექსად, ინგლისურად, ფრანგულად, იტალიურად, გერმანულად, ყველგან ერთი და იგივე საკითხი იდგა. ისე რომ კარგად ვიცოდი, რაც მემართებოდა, როცა დეკეულის გამხმარ ნეხვზე მის სახელს ვწერდი, ან მთვარის შუქით განათებულ და ტალახში ამოგანგლულ ჭინჭარს ვეჯაჯგურებოდი, თანაც ისე ფრთხილად, რომ ღერო არ დამეზიანებინა. უზარმაზარი, ერთ მეტრზე მეტი სიმაღლის ჭინჭრები იყო, ვგლეჯდი მათ და ვმშვიდდებოდი, ისე, რა ჩემი საქმეა სარეველა ბალახების ამოძირკვა, სხვა დროს ერთი კარგა მივაფურთხებდი ყველაფერს და გადავაფსავდი კიდეც... რომ შემძლებოდა. ყვავილები სხვაა, ყვავილებს არაფერს ვერჩი. სიყვარული აფუჭებს ადამიანს, უეჭველი ფაქტია! მაინც როგორი სიყვარული იყო? ვნებიანი? არა მგონია. სიყვარულ-ვნება სატირული მეჩვენება. ასე არ არის? იქნებ სხვა სახეობაში მერევა? არა და, რა მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე! სიყვარულები² ერთი მეორეზე ლამაზი და...მაგალითად, პლატონური. კიდეც ერთი სახეობა გამახსენდა. პლატონური სიყვარული უანგაროა. იქნებ მეც პლატონური სიყვარულით მიყვარდა? არა, ვერ დავიჯერებ. როგორ დავწერდი მის სახელს საქონლის გაშეშებულ განავალზე, ჩემი გრძნობა უანგარო და წმინდა რომ ყოფილიყო, თანაც თითოთ, რომელსაც მერე ვწუწნიდი? ეი, გეყო, შეჩერდი! მოკლედ, ლულუზე ვფიქრობდი და თუ ეს საკმარისი არ გეჩვენებათ, ძალიანაც მიგიქარავთ, თანაც ყელში ამომივიდა სახელი ლულუ, სხვას დავარქმევ, ამჯერად ერთმარცვლიანს, მაგალითად... ანა. თუმცა არც ეს სახელია ერთმარცვლიანი. ერთი სიტყვით, ანაზე ვფიქრობდი: ძალიან მიკვირს, რომ მასზე ვფიქრობდი, მე ხომ ადრევე შევითვისე, რომ არაფერზე არ უნდა მეფიქრა ჩემი კრუნჩხვისმომგვრელი ტკივილების გარდა, მერე ვფიქრობდი, როგორ გადავრჩენილიყავი და შიმშილით, სიცივით ან სირცხვილით არ მომკვდარიყავი... მაგრამ, რაც არ უნდა მეთქვა, რაც არ უნდა მომსვლოდა, ცოცხალ არსებაზე, როგორც ასეთზე (ნეტავ როგორია?) მანამდე არასდროს მიფიქრია. ხშირად ვლაპარაკობდი და ვილაპარაკებ კიდეც

² განგებ დავტოვე ქართულში არ არსებული, მაგრამ ფრანგულისათვის მახასიათებელი და განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი მრავლობითი რიცხვის ფორმა. (მთ. შენ.)

ისეთ რამეებზე, რაც არასდროს არსებულა, ან თუ გნებავთ, იარსება და შესაძლოა, იარსებოს კიდევ, თუმცა არა იმ არსებობით, რომელსაც მე მათ მივაკუთვნებ, ქუდი, მაგალითად, კეპკა რომ ჰქვია ისეთი, ხომ არსებობს?! საეჭვოა, რომ ოდესმე გაქრეს თუმცა, მე არასდროს მიტარებია „კეპკა“. არა! ტყუილია! ერთხელ სადღაც დავწერე - მათ მე... ქუდი მომცეს მაგრამ მათ ქუდი არასდროს მოუციათ, მე ყოველთვის ჩემს საკუთარ ქუდს ვატარებდი, მამაჩემმა რომ მაჩუქა იმას, სხვა არც არასდროს მქონია. სხვათა შორის სიკვდილშიც თან მახლდა. მოკლედ, ანაზე ვფიქრობდი, ბევრს, ბევრს ვფიქრობდი, ყოველდღე ოც, ოცდახუთ წუთს, ნახევარ საათსაც კი. გამოთვლას პატარ-პატარა ციფრების შეჯამებით უფრო კარგად ვახერხებ. ჩემებურად მიყვარდა. ახლა რა ვქნა, დაგიმტკიცოთ, რომ სწორედ იმ ინტელექტუალური სიყვარულით შემიყვარდა, რომელმაც ერთ დროს ამდენი სისულელე ჩამადენინა? არ მჯერა. ისე რომ მყვარებოდა, ხარების გაფშვილ ნეხვზე მისი სახელის ჩხაპნით გავირთობდი თავს? რა ერქვა? ჰო, ანა! ან შიშველი ხელებით ჭინჭარს ამოვთხრიდი? ჩემს მოტვლეპილ თავს მოშლილი სასწორივით ათანთალელებული ბარკლების შეხება ეხსომებოდა? ამ ამბისათვის ბოლო რომ მომეღო, ერთხელაც ავდექი და სკამთან მივედი ზუსტად იმ დროს, როცა ის მოდიოდა ხოლმე, არ დამხვდა და კარგა ხანს ტყუილად ველოდე. უკვე დეკემბრის, თუ იანვრის თვე იდგა და მაგრადაც ციოდა, თუმცა ყინვა, როგორც ყველაფერი სეზონური და დროული ძალიან ჯანსაღი იყო. თავლაში დაბრუნებულმა, არ დავიზარე და ისეთი მყარი არგუმენტები შევაკოწიწე, რომ ღამე მშვენივრად გავატარე, ჩემი თავი დავარწმუნე, რომ ოფიციალურად დათქმული დრო ათასგვარად შეიძლება ჩაიწეროს ჰაერში და ცაში. გულშიც, რა თქმა უნდა. მეორე დღეს სკამთან უფრო ადრე, დაღამების პირველსავე წამებში მივედი. მაინც დამაგვიანდა უკვე იქ იჯდა, სკამზე, სიცივით ატკაცუნებულ ტოტებქვეშ და გაყინული არხის პირდაპირ. უკვე გითხარით, რომ ძალიან ტორლიალა ქალი იყო. გორაკი თრთვილს გადაეფიქვა; ველარაფერს ვგრძნობდი. რატომ დამდევდა კუდში, რა უნდოდა ჩემგან? კითხვა პირდაპირ ვახალე, არც დავმჯდარვარ, ფეხების ბაკუნით წინ და უკან დავდიოდი. ყინვამ ერთიანად გადათხარა გზა. მიპასუხა, რომ არ იცოდა. რას ხედავდა ჩემში? ვთხოვე, თუ შეეძლო ყველაფერი აეხსნა. მითხრა, რომ არ შეეძლო. თბილად ეცვა. ხელები მუფტაში ჰქონდა შემალული. მუფტის შემხედვარეს, მგონი, ტირილიც მომინდა. რა ფერისა იყო კი აღარ მახსოვს. არა, ნამდვილად ვერ იყო ჩემი საქმე კარგად. მართალია, ხშირად ვიცრემლებოდი, მაგრამ სარგებელი არასდროს მინახავს, დღეს კი სატირლადაც რომ მქონდეს საქმე, ვიცი, რომ ერთ კურცხალსაც ვერ გადმოვაგდებ, მართლა ვერ ვიყავი კარგად, ხშირად კი ვტიროდი, მაგრამ ასე უდარდელად, უმიზეზოდ თუ ავტირდებოდი, ესე იგი, ჩემდა უნებურად, რაღაც მალეღვებდა, რაღაც მახსენდებოდა. მას შემდეგ ჩემს თავს ხშირად ვეკითხები, იმ საღამოს მართლა მუფტამ ამატირა, თუ ყინვისგან დაკოჟრილმა ბილიკმა, რომელმაც ქვაფენილები, ან

სხვა რაღაც, ადრე ნანახი და დასამახსოვრებელი გამახსენა. თითქოს პირველად ვხედავდი მას, მოკუნტული, შეფუთული და თავდახრილი იჯდა, მუფტა კალთაში ჩაედო, ერთმანეთს მიტყუპებული, მოხრილი ფეხებით მიწას არ ეხებოდა. უფორმო, უსაკო, თითქმის უსიცოცხლო ჩანდა, მოხუცსაც ჰგავდა და ბავშვსაც. ლაპარაკის მანერაც - „არ ვიცი, არ შემოდია“. ეს მე არ ვიცოდი, ეს მე არ შემოდლო. ჩემს სანახავად მოხვედით? ვკითხე მე. დიახ, მიპასუხა მან. ჰოდა, მეც აქა ვარ - ვთქვი მე. მეც ხომ მის სანახავად ვიყავი მოსული? ჩემთვის ვიმეორებდი - მეც აქა ვარ, მეც აქა ვარ. მის გვერდით ჩამოვჯექი, მაგრამ იმ წამსვე წამოვბტი, თითქოს გავარვარებულ რკინას შევეხე. წასვლა მომინდა. უნდა წავსულიყავი, თუნდაც იმიტომ, რომ გამეგო, ბოლოს და ბოლოს, მართლა დამთავრდა ყველაფერი, თუ არა. სრული სიმშვიდისათვის, წასვლისას, ვთხოვე ემღერა, მეგონა უარს მეტყოდა, ან არ იმღერებდა, არ განძრეულა, მაგრამ პატარა პაუზის მერე სიმღერა წამოიწყო და კარგა ხანს მღეროდა, მგონი იმ ძველ სიმღერას, ვერ მივხვდი რას მღეროდა და ვერც ვერასდროს გავიგებ. ისღა მახსოვს, რომ ლიმონის თუ ფორთოხლის ხეებს უმღეროდა, მაინც რომელს არ ვიცი, თუმცა, რაც მახსოვს ისიც ბევრია ჩემთვის, რადგან არასდროს მიცდია ოდესღაც მოსმენილი სიმღერების დამახსოვრება, უნდა ვაღიარო, რომ საკმარისად მაქვს მოსმენილი, თითქმის შეუძლებელია, ასე ვთქვათ, იცხოვრო და თუნდაც ისე, როგორც მე, რომ ერთი სიმღერა მაინც არ მოისმინო, თუ რა თქმა უნდა, ყრუ არა ხარ, მაგრამ მე არაფერი მახსოვს, არც ერთი სიტყვა, არც ერთი ბგერა, ან ისე ცოტა სიტყვა და ბგერა რომ... რომ რა, რომ არაფერი, ეს ფრაზა ისედაც გრძელი გამომივიდა. მერე წამოვდექი, მივდიოდი და მისი სიმღერა მესმოდა, თითქოს რაღაც სხვა წამოიწყო, შეიძლება იგივე სიმღერის გაგრძელებაც იყო, ჩუმად მღეროდა, ხმა ნელ-ნელა სუსტდებოდა, რადგან იქაურობას ვშორდებოდი, ბოლოს დაიკარგა და აღარ მესმოდა, ან სიმღერა დაასრულა, ან მე ვიყავი უკვე ძალიან შორს. მსგავსი გაუგებრობა, რა თქმა უნდა, ვერ ავიტანე, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სულ გაუგებრობაში და გაუგებრობით ვცხოვრობდი, პატარ-პატარა, როგორც იტყვიან, ფიზიკური რიგის ექვები ყოველთვის მაღიზიანებდა და გაჩენისთანავე ვაქრობდი, თორემ მაწუხელა-ჩიტივით არ მასვენებდნენ. ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე და გავჩერდი. აღარაფერი მესმოდა, მერე ისევ გავიგე მისი ხმა, იმდენად სუსტი იყო, რომ ჩემამდე ძლივს აღწევდა, ხან მესმოდა, ხან არ მესმოდა. არა და რაღაც მომენტში ხომ უნდა დამეწყო მოსმენა, მაგრამ არა, ხმა ისე ჩუმად მოედინებოდა სიჩუმიდან და ისე ჰგავდა სიჩუმეს, რომ დასაწყისი ვერა და ვერ დავიჭირე. როცა საბოლოოდ შეწყდა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯით მივუახლოვდი, აუცილებლად უნდა გამეგო, დაიკარგა თუ შეწყდა. აბა, როგორ გამეგო, ახლოს თუ არ მივიდოდი, თავს თუ არ მივადებდი, გაწბილებული გამოგტრიალდი და, ექვნარევი გაუგებრობის მიუხედავად, სახლში წავედი. რამდენიმე კვირის შემდეგ, უფრო მკვდარი, ვიდრე ცოცხალი, ისევ მივედი სკამთან, მეოთხედ თუ მეხუთედ მას შემდეგ, რაც იქაურობა

მივატოვე, დაახლოებით იგივე დროს, უფრო ზუსტად, დაახლოებით იგივე ცის ქვეშ, მაგრამ არც ეს არის სწორი, რადგან ცა ყოველთვის ცაა, თუმცა არასოდეს არის იგივე, სხვანაირად როგორ ვთქვა, არ ვიცი, სულაც არ ვიტყვი და მორჩა. ის იქ არ იყო. მერე უცებ იქ გაჩნდა, არ ვიცი როდის, როგორ, ფრთხილად ვიყავი, მაგრამ მისი მოსვლა ვერც დავინახე და ვერც გავიგე. შევცვალეთ განწყობა და წარმოვიდგინეთ, რომ იმ დღესაც წვიმდა. რა თქმა უნდა ქოლგით მოვიდა, ეტყობა საუცხოო გარდერობი ჰქონდა. შევეკითხე, ყოველდღე თუ მოდიოდა, არაო, მიპასუხა, მხოლოდ ერთ-ორჯერ მოვედიო, დრო და დრო მოვდიოდიო. სკამი ძალიან სველი იყო და ჩამოჯდომა ვერ გავბედეო, წინ და უკან დავდიოდით, ხელი მოვკიდე, მაინტერესებდა მესიამოვნებოდა თუ არა, არ მესიამოვნა და ხელი გავუშვი. რისთვის დამჭირდა ეს წვრილმანები? ვალის გადახდას არ ვჩქარობდი, მის სახეს ვაკვირდებოდი. ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, მილიონობით ადამიანს რომ აქვს ისეთი. თვალებს აელამებდა, მაგრამ ეს უკვე მოგვიანებით შევნიშნე, არც მობერებული ჩანდა და არც ახალგაზრდა. თითქოს შუაში შერჩა, უსაკობას ჩამოკიდებული სახე ერთდროულად ქორფა და მომჭკნარი ჰქონდა. იმ ხანად ვერც გაორმაგებას ვიტანდი, ალბათ გაინტერესებთ ლამაზი თუ იყო, ან ადრე თუ იქნებოდა ლამაზი, ან მერე თუ გალამაზდებოდა, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, ფოტოსურათზე ერთი-ორი სახე მაქვს ნანახი, ლამაზს დავარქმევდი, სილამაზეზე რამდენიმე ზუსტი მონაცემი რომ მქონდეს. მაგალითად მამაჩემის სახემ სიკვდილის სარეცელზე ადამიანის ესთეტიკურად აღქმის შესაძლებლობა დამანახა. მაგრამ ცოცხალი, დაპრანჭულ-დაჭმული სახე, გარეთ გამოსული სისხლ-მარღვებით როგორ უნდა ვაქციოთ ესთეტიკის საგნად? წყვიადისა და შიშის მიუხედავად ყოველთვის მომწონდა იმის დანახვა, თუ როგორ წამოუდგებოდა ბლანტი ან მდორედ მდინარე წყალი, წყალში გადამხტარ მოწყურებულ ქალს. მერე მკითხა, ხომ არ მოვისურვებდი რამე ემღერა ჩემთვის, სიმღერაზე უარი ვთქვი, მაგრამ ვთხოვე ეთქვა რამე. ვიფიქრე არაფერს მეტყვის, ან მეტყვის, რომ სათქმელი არაფერი აქვს, ასეთი პასუხი მის ხასიათში კარგად ჯდება, შევცდი, ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა მომახსენა, რომ ოთახი ჰქონდა. სხვათა შორის, ეჭვიც არ შემპარვია, ვის არა აქვს თავისი ოთახი? ნუთუ ჩივილი მესმის? ორი ოთახი მაქვსო, დაამატა მან. მაინც რამდენი ოთახი გაქვთ? - ვკითხე მე. მითხრა, რომ ორი ოთახი და სამზარეულო ჰქონდა. ყოველ წინადადებაში თითო ოთახს ამატებდა. ბოლოს აბაზანაც გაიხსენა. ესე იგი ორი ოთახი გაქვთ? - დავაზუსტე მე. დიახო - მიპასუხა. ერთმანეთის გვერდით? - შევეკითხე მე, როგორც იქნა დიალოგის მაგვარი რამ ავაწყეთ. შუაში სამზარეულოა მოთავსებულიო - მითხრა მან. ადრე რატომ არ მითხარით? - გავიკვირვე მე. ეტყობა ძალიან ახუმტურებული ვიყავი, რადგან რაღაც უხერხულობას ვგრძნობდი მის გვერდით, თუმცა მასზე კი არა, სხვა რამეებზე უფრო ვფიქრობდი. კარგად მენიშნა, ერთი მეორეს მიყოლებით ადრე განცდილ რამე - რუმეებს ვიხსენებდი და ასე თანმიმდევრულად,

თითქმის არაფერზე ფიქრით მივყვებოდი ღრმა წყალში ჩამავალ კიბეს. ვგრძნობდი რომ, თუ წყალში ჩასვლას შევანელებდი, თავისუფლებას დავკარგავდი.

არ მომატყუა, მართლაც ორი, სამზარეულოთი გაყოფილი ოთახი ჰქონდა. ნივთების მოსატანად წასვლა შემომთავაზა. ავუხსენი რომ ნივთები არ მქონდა. ერთი ძველი სახლის ზედა სართულზე ცხოვრობდა, თუ მოისურვებდი ფანჯრიდან მთას დაინახავდი. ნავთის ლამფა აანთო. შუქი არა გაქვთ? - ვკითხე მას, არაო - მიპასუხა, მაგრამ წყალი და გაზი მაქვსო. უყურე შენ, გაზი გქონიათ - შევხვებოდი მე. გახდა დაიწყო. ქალები გახდას მაშინ იწყებენ, როცა აღარ იციან, რა თქვან, ან რა აკეთონ, უნდა ვაღიარო რომ უკეთესს მაინც ვერაფერს მოიქმედებენ. ყველაფერი გაიხადა, თანაც ისე ნელა, რომ მისი ზოზინი სპილოსაც გააცოფებდა, წინდების გარდა, ჩემს საბოლოოდ შებმას, ეტყობა, წინდებით აპირებდა. კიდევ კარგი შიშველ ქალს პირველად არ ვუყურებდი. გაუნძრევლად ვიდექი, ვიცოდი რომ არ ავფეთქდებოდი, თანაც მეორე ოთახი ჯერ არ მენახა და ვთხოვე ეჩვენებინა, ნანახი რომც მქონოდა, სხვა რამეს მოვიგონებდი. თქვენ არ გაიხდით? - მკითხა მან. უფ, იცით, არც ისე ხშირად ვიხდი - ვუპასუხე მე. არ ვტყუოდი, ყველა კუთხე-კუნჭულში გასახდელად შემზადებული ტიპი არასდროს ვყოფილვარ. ფეხსაცმელს ხანდახან ვიხდი, როცა ვწვები, უფრო ზუსტად, როცა დასაძინებლად მივდივარ! მივეშურები!!! ტანსაცმელს - მხოლოდ ამინდის მიხედვით და ამიტომაც უფრო იშვიათად. უზრდელობა არ დამბრალდესო, იძულებული შეიქმნა ხალათი შემოეცვა და ლამფით ხელში წამომყოლოდა. სამზარეულო გავიარეთ, მერე მივხვდი, რომ დერეფნითაც შეგვეძლო გასვლა, მაგრამ მან რატომღაც სამზარეულო არჩია. ალბათ მოკლეზე უნდოდა მოჭრა. ოთახში რომ შევედი ჟრუანტელმა დამიარა, ისე იყო ავეჯით გადაძეპილი, რომ სუნთქვა შემეკრა. ეს რა არის? - შევეკითხე მე. მისაღები ოთახია, მიპასუხა მან. მისაღები! ეგრევე შევუდექი ავეჯის დერეფანში გადაზიდვას. არაფერი მითხრა. მოწყენილი ჩანდა. მომეჩვენა ცხვირიც ჩამოშვდა, თუმცა აბა მე რა ვიცი. ერთი კი მკითხა რას აკეთებო, მაგრამ პასუხი არ გამიცია. ვფიქრობ, არც ელოდა. თითო-თითო გამქონდა, მერე ორ-ორი, დერეფანში ვყრიდი, კედელთან. ასობით ნივთი იყო. ოთახი ისე ჩაიხერგა, რომ არც შესვლა შეიძლებოდა და არც გამოსვლა. შიგნიდან კარი იღებოდა და იხურებოდა კიდევ, მაგრამ რად გინდა? გადაულახავი გახდა. რა დიდებული სიტყვაა - გადაულახავი! ქუდი მაინც მოიხადეთ, მითხრა მან. ჩემს ქუდზე სხვა დროს მოგიყვებით... როგორც იქნა, ოთახში ერთი დივანი და კედელზე ჩამოკიდებული რამდენიმე თარო დარჩა. დივანი ოთახის სიღრმეში, კარებთან გავაჩოჩე, თაროები მეორე დღესვე ჩამოვიღე და დერეფანში დავყარე, სხვა ნივთებთან ერთად. თაროებს რომ ვეჯაჯგურებოდი, უცნაურ მოგონებად ჩამესმა რაღაც სიტყვა-ფიზრომა, თუ მიომა, კარგად ვერც გავარჩიე, ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა და არც მიცდია რომ გამეგო. რამდენი სისულელე გვახსოვს! და რამდენს

ვაგროვებთ! როგორც კი ყველაფერი მოვაწესრიგე, დივანზე დავეგდე. იმ ქალბატონს თითიც არ გაუნძრევია. იდგა და მიყურებდა. ზეწარსა და საბანს მოგიტანო, მითხრა. რა ჯანდაბად მინდოდა მისი ზეწრები. ფარდებს ხომ არ ჩამოუშვებთ, ვკითხე მე. გარეთ ბნელოდა, ფანჯარა თეთრად იყო მოყინული, მართალია შუქს არ ატარებდა, მაგრამ მაინც მჭრიდა თვალს. კარებისაკენ ფეხებგაშვერილი არ უნდა დავწოლილიყავი, ახლა ეს სუსტი და ცივი სინათლე მაწუხებდა. უცებ წამოვხტი, დივანი მოვატრიალე, ზურგი კედლის საპირისპირო მხარეს მოვაქციე და საწოლი კედელთან მივწიე, ისე შევცოცდი შიგნით, როგორც თავი სოროში. ლამფას დაგიტოვებთო - მითხრა მან. უარი ვუთხარი. დამე რამე რომ მოგინდეთ? - მკითხა მან. ქალს არაფერი ეშლებოდა, ამ საკითხზე არც მიფიქრია. საკუთარ ლოგინში წამოგორება ცოტახანს გსიამოვნებს, წრიალი მერე იწყება. ღამის ქოთანი მომიტანეთ - ვთხოვე მას. ერთ დროს, ძალიან არა, მაგრამ თითქმის მომწონდა ეს სიტყვები - ღამის ქოთანი, რა თქმა უნდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რასინს თუ ბოდლერს, შეიძლება ორივესაც მახსენებდა. დიახ, საკითხავი ყოველთვის მყოფნიდა, ყოველთვის მქონდა, ასე ვაღწევდი იქ, სადაც სიტყვაც უძლური იყო, დანტესთან მაგალითად. ამ ქალს კი ღამის ქოთანიც არ გააჩნდა. საჯდომის მაგვარი რაღაც უნდა მქონდეს, მითხრა მან. უცებ ზედ დამჯდარი ბებია წარმოვიდგინე, სარგადაყლაპულივით მომართული და ამაყი, ძველი ნივთი ეს-ესაა იყიდა, უკაცრავად, შეიძინა საქველმოქმედო ბაზრობაზე, იქნებ ლატარეაშიც ერგო, სიფთაზე თვითონ დაჯდა... გამოსაცდელად. ალბათ უნდოდა კიდევ, რომ ვინმეს დაენახა. აი, ახლა კი შევჩერდეთ, დავამუხრუჭოთ! რამე ჭურჭელი მომეცით, ვუთხარი მას, დიზინტერიით არა ვარ ავად. ქვების მაგვარი ჭურჭელი მომიტანა, ოვალური, ორი სახელურით და თავდახურული. თუჯიაა, განმიმარტა მან. თავსახური არ დამჭირდება, ვთქვი მე. გაიკვირვა, როგორ თუ თავსახური არ დაგჭირდებაო? მე რომ მეთქვა თავსახურავი მჭირდება - თქო, მიპასუხებდა, როგორ თავსახურავი გჭირდებათო? ქვაბი საბანსქვეშ ამოვიდე. ხელში აუცილებლად რამე უნდა მეჭიროს, როცა მძინავს, შიშები აღარ მაწუხებს, ჩემი ქუდი კი ისევ სველი იყო. კედლისკენ გადავტრიალდი. მან ბუხრის თავზე შემოდებული ლამფა აიღო, დავაზუსტებ, მაინც დავაზუსტებ - ჩემს წინ, კედელზე მისი ჩრდილი ათამაშდა, მეგონა გასვლას აპირებდა, ნურას უკაცრავად, მომიახლოვდა, დივანის ზურგს დაეყრდნო და ჩემსკენ გადმოიხარა, ოჯახის ნივთები შემომრჩაო, მითხრა. მის ადგილას ფეხაკრებთ გავიდოდი ოთახიდან, ის კი იდგა და დამყურებდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ გადაყვარების პროცესი თითქმის დაწყებული გახლდათ, დიახ, თავს უკეთ ვგრძნობდი, მზად ვიყავი ნელი დაღმავალი სვლით კაიფის სიღრმეებშიც დამელაშქრა ღრმა ჩაძირვების გამოყენებით, ამ ქალბატონის გამო ყველაფერი დავივიწყე ამ ბოლო დროს, თანაც ახალმოსული ვიყავი, გამომინება მჭირდებოდა, ახლა თუ მოახერხებთ, გამაგდეთ, ვთქვი მე. იმდენად გადაჩვეული ვიყავი ლაპარაკს, რომ ხშირად

გრამატიკულად გამართულ ფრაზებსაც კი ვუშვებდი პირიდან, მაგრამ მათი უმრავლესობა მოკლებული იყო... არა, აზრს - არა, აზრი, თუ კარგად დავაკვირდებით, ყოველთვის მქონდა, ხშირად რამდენიმეც, არამედ საფუძველს. ჩემს ხმას ასე ნელა არასდროს მოუღწევია ჩემამდე. ზურგზე გადავბრუნდი, უნდა გამეგო, რა მოხდა. ილიმებოდა. ცოტა ხნის მერე წავიდა და ლამფაც თან გაიყოლა. მესმოდა, როგორ გაიარა სამზარეულო, როგორ დახურა თავისი ოთახის კარი. როგორც იქნა მარტო დავრჩი, სრულ სიბნელეში. ადგილის უცნაურობის მიუხედავად, იმედი მქონდა, რომ მშვიდ და უშფოთველ ღამეს გავატარებდი. არაფერი შეგეშალოთ, ის ღამე უკიდურესად დამაბული აღმოჩნდა. მეორე დღეს დამტვრეულმა გავიღვიძე, ტანსაცმელი არეულ-დარეული, საბნები დაკუჭული და ანაც ჩემს გვერდით იწვა, რა თქმა უნდა შიშველი. ქვაბი ხელში მეჭირა, შიგ ჩავიხედე. არ მიხმარია. მერე ჩემს ასოს დავხედე. ლაპარაკი მაინც შემძლებოდა. ერთი სიტყვით, რაღა მაქვს დასამალი. ეს ჩემი სასიყვარულო ღამე აღმოჩნდა.

ცხოვრება ნელ-ნელა დალაგდა. საჭმელი ჩემს მიერ მითითებულ დროს მოქონდა, ხანდახან შემოიხედავდა, რა მიჭირდა, როგორ ვიყავი, დღეში ერთხელ ქვაბს ცლიდა, თვეში ერთხელ ოთახს ალაგებდა. გამოლაპარაკების ცდუნებას ყოველთვის ვერ უმკლავდებოდა, მაგრამ საერთო ჯამში, ვერ დავემდურებოდი. ხანდახან სიმღერის ხმა მესმოდა, სიმღერა მისი ოთახიდან სამზარეულოში გამოდიოდა, სამზარეულოდან - ჩემს ოთახში, მერე ჩემამდეც აღწევდა უკვე დასუსტებული, მაგრამ უეჭველად არსებული... იქნებ დერეფნის გავლით შემოდიოდა ჩემთან? სიმღერა არ მაწუხებდა. ერთ დღეს სუმბულის მოტანა ვთხოვე, ქოთნით მომიტანა და ბუხარზე დადგა... ოთახში მხოლოდ ბუხრის თავზე თუ მოხერხდებოდა ნივთის დადება, დანარჩენი, უფრო ზუსტად არაფერი, იატაკზე ეყარა. ჩემს სუმბულს ყოველდღე ვათვალიერებდი. ვარდისფერი იყო. ისე, მე ლურჯი მერჩივნა. ერთხანს თავს კარგად გრძნობდა, კოკრებიც კი გაშალა, მერე ფარ-ხმალი დაყარა და ფლატე, უსიცოცხლო, გამხმარი ფოთლებით ატირებულ ღეროდ გადაიქცა. თითქოს ჟანგბადის საძებნელად მიწიდან ამოსული ბოლქვი აქოთდა. ანას გადაგდება უნდოდა, მაგრამ არ დავანებე. ახალი ყვავილის ყიდვა შემომთავაზა, მაგრამ მე სხვა ყვავილი არ მინდოდა. ამ სახლში უცნაური ფორიაქი უფრო მაწუხებდა, რაღაც ხითხითი და კვნესა, რომელიც ყრუდ მოისმოდა ხან დღისით, ხან ღამით, ანაზე აღარ ვფიქრობდი, საერთოდ აღარ ვფიქრობდი, მაგრამ ჩემი ცხოვრებით რომ მეცხოვრა, სიწყნარე მჭირდებოდა. ამაოდ ვუმტკიცებდი ჩემს თავს, რომ ჰაერი იმისათვის არის შექმნილი, რომ მსოფლიოში არსებული ყველა ხმაური მიაგორ-მოაგოროს, რომ ხითხითი და კვნესა ამ ერთი ხმაურის უნებლიე ნაწილია და მე თუ არა, სხვებს სჭირდება. ვერაფრით ვერ მოვისვენე, ისიც ვერ დავადგინე ერთი და იგივე ხმაური იყო, თუ სხვადასხვა. ხითხითი და კვნესა ძალიან გავს ერთმანეთს. იმ დროს პატარ-პატარა გართულებების ისე მეშინოდა, რომ ხშირად ზადეში ვიხლართებოდი. ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერში გარკვევა მსურდა, დიდი

დრო, თითქმის მთელი ცხოვრება იმის გარკვევას მოვანდომე... რომ მოულოდნელად დანახული თვალის ფერი, ან შორეული ხმაურის წარმოშობა უმეცრების ჯოჯოხეთში, ჯუდეკასთან³ უფრო ახლოა, ვიდრე ღმერთი; პროტოპლაზმის გენეზისი, ან მყოფობა კი იმდენ სიბრძნეს მოითხოვს, რომ ეს სიბრძნე, საბოლოო ჯამში, ხელიდან გეცლება. ერთი ცხოვრება ზედმეტიცაა, რომ ეს მანუგეშებელი დასკვნა მიიღო, შედეგს მაინც ვერ გამოიყენებ, დრო არ გეყოფა. ყველაფერი გაირკვა, როცა მოურიდებლად ვკითხე რა ხდებოდა. თურმე კლიენტებს იღებდა ერთი მეორეს მიყოლებით. რა თქმა უნდა, შემეძლო არაფერი მეკითხა და კარის ჭუჭრუტანაში გამეხედა, თუ ეს უკანასკნელი ამოგმანული არ იქნებოდა, მაგრამ მოვახერხებდი კი რამის დანახვას ჭუჭრუტანაში? ესე იგი, თქვენ მეძავეობით ირჩენთ თავს? ვიკითხე მე. ჩვენ, ჩვენ ვირჩენთ თავს მეძავეობით - მიპასუხა მან. არ შეგიძლიათ, თქვენს კლიენტებს სთხოვოთ, რომ ნაკლებ იხმაურონ? ვიკითხე ისე, თითქოს დავიჯერე, რაც მითხრა, თან დავუმატე, ან სხვაგვარად იხმაურონ? ხომ უნდა გაათავონ - მიპასუხა მან. მერე საოჯახო კაფარნაუმში⁴ რაღაც ხალიჩები მოძებნა და კარებს ორივე მხრიდან ჩამოაფარა. ხომ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ხანდახან ძირთეთრა ვჭამოთ? - შევეკითხე ერთ დღეს. ძირთეთრაო? ისე შეიცხადა თითქოს ებრაელი ბავშვის შეჭმა მოვინდომე. ავუხსენი, რომ ძირთეთრას სეზონი მთავრდებოდა და თუ დღეიდან ძირთეთრას გარდა სხვა არაფრით გამიმასპინძლდებოდა, მისი მადლობელიც კი დავრჩებოდი. მარტო ძირთეთრა! - ისევ გაიკვირვა მან. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ძირთეთრას ია-იას გემო დაჰკრავს. ძირთეთრა მიყვარს იმიტომ, რომ იების გემო აქვს, იები კი მიყვარს იმიტომ, რომ ძირთეთრას სურნელი ასდის. დედამიწაზე ძირთეთრა რომ არ მოდიოდეს, ია არ მეყვარებოდა, ია რომ არ არსებობდეს, ძირთეთრას ისევე, როგორც თალგამსა თუ ბოლოკს, ზედაც არ შევხედავდი. სხვათაშორის, ფლორის, მაპატიეთ სამყაროს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, დიდი სიამოვნებით ერთსაც მივაფურთხებდი და მეორესაც. ერთ დღეს სულ გათავხედდა და გამომიცხადა, რომ ჩემგან ორსულად იყო, თანაც უკვე ოთხი თუ ხუთი თვის. გვერდულად დამიდგა და თავისი მუცელი მანახა. გაშიშვლდა კიდევ, უნდოდა ალბათ, დაემტკიცებინა რომ კაბის ქვეშ ბალიში არ ქონდა ამოდებული, თანაც ხელიდან ხომ არ გაუშვებდა გაშიშვლების სიამოვნებას. მის გასამხნეველად ვივარაუდე, რომ უბრალოდ მუცელი ჰქონდა შებერილი. მან თავისი დიდი, ფერი დამავიწყდა, თვალები შემომანათა, უფრო ზუსტად ერთი დიდი თვალი, რადგან მეორე აშკარად სუმბულის ნარჩენებისკენ გაურბოდა. ეს ქალი, რაც უფრო შიშველი იყო, მით უფრო ელამი ჩანდა. შეხედეთ, თქვა მან და მკერდზე დაიხედა - ძუძუსთავები უკვე მიმუქდება. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და პირდაპირ მივახალე, აბორტი გაიკეთეთ, აბორტი და აღარ

³ ჯუდეკა - 1. დანტეს « „ღვთაებრივი კომედიის“ პერსონაჟი. 2. უბანი ვენეციაში (მთ.შენ.)

⁴ კაფარნაუმი - მუზეუმი, მავზოლეუმი. (მთ. შენ.)

ჩაგიმუქდებათ. ფარდებიც კი გაწია მისი დუდრუქანები რომ კარგად დამეთვალეებინა. ფანჯრის მიღმა მთა დავინახე, გულგრილი და უშფოთველი, მღვიმედქცეული და იდუმალი, დილიდან დადამებამდე მხოლოდ ქარს, ღალღების ჟივილს და მარმარილოს მთლელთა ჩაქუჩების ყრუ, მაგრამ სუფთა ვერცხლისფერ ხმას მოვუსმენდი. დღისით მანანას გახურებულ ბუჩქნარში კურდღლის ცოცხას სურნელოვან და გაუკაფავ მდელოზე გავიდოდი, ღამით, თუ მომინდებოდა, ქალაქის შორეულ შუქს დავინახავდი და ბევრ სხვასაც; შუქურებს, მაგალითად, ან აციმციმებულ გემებს, რომელთა სახელები მამაჩემმა ბავშობაში მასწავლა, თუ მოვინდომებდი ყველა სახელს გავიხსენებდი, რადგან ყველაფერი ვიცოდი. იმ დღიდან სახლი უკულმა დატრიალდა, ცუდად არ მეპყრობოდა, ვერც შეძლებდა ცუდად მოპყრობას, უბრალოდ წამ და უწუმ მკლავდა ჩვენი ბავშვით, მიჩვენებდა დამრგვალებულ მუცელს, ძუძუებს და მახსენებდა, მახსენებდა, რომ ბავშვი ძალიან მალე დაიბადებოდა, რომ ის უკვე მოძრაობდა. თუ მოძრაობს ჩემი არ იქნება-თქო, ვუთხარი ერთხელ. მის სახლში თავს კარგად ვგრძნობდი, დიდ ხეირს არ ველოდებოდი, მაგრამ ცუდად არ ვიყავი მოწყობილი. ვყოყმანობდი, წასვლა არ მინდოდა, ხეებს უკვე სცვიოდა ფოთლები, ზამთარი მაშინებდა. არადა ზამთარს არ უნდა შეუშინდეს ადამიანი, ზამთარსაც თავისი სიკეთე მოაქვს. თოვლი სითბოს ინახავს და აურზაურს არბილებს, ზამთრის ფერმიხდილი დღეები ძალიან მალე ილევა, მაშინ, არც ვიცოდი, რა თბილი შეიძლება ყოფილიყო მიწა მათთვის, ვისაც მიწის გარდა არაფერი ებადა, რამდენ ჩასამარხ ადგილს სთავაზობდა იგი ცოცხლებს. ბავშვის გაჩენამ სულ გამანადგურა. უცებ გამეღვიძა. ნეტავ ვინ ამშობიარებს? მგონი, ვიღაც ქალი იყო მასთან, სამზარეულოდან ნაბიჯის ხმაც მომესმა. მიმძიმდა სახლიდან წასვლა, ალბათ იმიტომ, რომ არავინ მაგდებდა. დივანიდან გადმოვძვერი, პიჯაკი, პალტო და ქუდი ავიღე, თითქოს არაფერი მავიწყებოდა და დერეფნის გამავალი კარი გავაღე. ხარახურამ გზა გადამიღობა, მაგრამ ხმაურით, კისრისტეხით და ლაწა-ლუწით ძველი ავეჯის ხროვას მაინც გადავაბიჯე. დასაწყისში, თუ გახსოვთ, ქორწინება ვახსენე, რაც მოხდა, ვფიქრობ, ცოლქმრობა იყო. ამაოდ ვფრთხილობდი, მისი კვილი ნებისმიერ ხმაურს გადაფარავდა. ალბათ, პირველი მშობიარობა იყო. ყვირილი ქუჩაშიც გამომყვა. სახლთან შევჩერდი და ყური მივუგდე. მაინც მესმოდა. ვერც გავიგებდი, რომ არ მცოდნოდა სად ყვიროდენ; ვინაიდან ვიცოდი, კარგად მესმოდა. თავს ძალას ვატანდი, გონება მერეოდა, ვერ ვხვდებოდი, სად ვიყავი, სად მივდიოდი, ცაზე, ვარსკლავებს შორის, ეტლის თანავარსკლავედი ვეძებე და ვერ მოვინახე. ვიცოდი, რომ იქ იყო, მაგრამ ვერ ვპოულობდი, პირველად, მამაჩემმა მაჩვენა ეტლი, სხვებიც დამანახა, მაგრამ მის გარეშე მხოლოდ ეტლს ვხედავდი, ყვირილს ისევე გავეთამაშე, როგორც ადრე მის სიმღერას, წინ წავიდოდი, გავჩერდებოდი, წავიდოდი გავჩერდებოდი. ვთამაშობდი, თუ შეიძლება ამას თამაში ეწოდოს. სიარულის დროს, ჩემი ნაბიჯების ხმა ყვირილს ახშობდა და

არაფერი აღარ მესმოდა. როგორც კი გავჩერდებოდი, ისევ მესმოდა, უფრო ჩუმად, რა თქმა უნდა. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ყვირილი ჩუმი იქნება თუ ძლიერი. მთავარია ყვირილი შეწყდეს. წლების მანძილზე მჯეროდა რომ შეწყდებოდა, დღეს აღარ მჯერა. ალბათ, სხვა სიყვარული უნდა მეძებნა, მაგრამ... ძალად სიყვარული შეუძლებელია.